საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე სამხარაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	25	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი : 29.05.21

სალომე სამხარაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - სალომე სამხარაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებით, როგორიცაა **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი,** დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია უნდა იქნეს გათვალისწინებული კანდიდატის შესახებ შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, კანდიდატის შეფასებისას სხვა გარემოებებთან ერთად აღსანიშნავია მის შესახებ რეკომენდატორებისა და რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია რომლებიც გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ და გამოყოფენ მის ისეთ თვისებებს როგორიცაა მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება, დამოუკიდებლობა,
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, კომუნიკაბელურობა და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე. ფინანსური ვალდებულების შესრულების კუთხით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ სალომე სამხარაძის სახელმწიფოს მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით, მის სახელზე უძრავი და მოძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის. მეწარმეთა და არასამეწარმეო პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. **დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის კუთხით** შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ისეთი თვისებები როგორიცაა: კანდიდატის პრინციპულობა, მის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, პიროვნული სიმტკიცე და შეუვალობა. კანდიდატის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის თანახმად, სალომე სამხარაძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. **პიროვნული და პროფესიული ქცევის კუთხით** შეფასებისას, უნდა აღინიშნოს რომ კანდიდატი კორექტული და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. გარშემომყოფთა მიმართ გამოირჩევა თავაზიანი დამოკიდებულებით. სალომე სამხარაძის

			მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული სამართალწარმოება არ მიმდინარეობს. კანდიდატი მსარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით** შემოწმებისას უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებული იქნა სალომე სამხარაძის საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. სალომე სამხარაძე არის სამართლის მაგისტრი. ამ და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, მიმაჩნია რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - სალომე სამხარაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25	**სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს მის მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების, ასევე ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის

			ცოდნის მაღალი დონე. გასაუბრებისას სალომე სამხარაძე შეკითხვებს ძირითად პასუხობდა სწორად და სიღრმისეულად. თუმცა, გამოვლინდა მცირე ხარვეზები კონკრეტული სამართლებრივი საკითხის შეფასების დროს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა - სალომე სამხარაძემ წარმოადგინა საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ,,ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი წარდგენის ეფექტურობა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას'' სალომე სამხარაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. სალომე სამხარაძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-15 ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში მინიჭებული აქვს მე-16 ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**25**	**25**	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. უნდა ითქვას, რომ კანდიდატი საკუთარ პოზიციას ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად, გასაუბრებიდან გამომდინარე ახორციელებს სამართლებრივ ნორმათა სწორ განმარტებას.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**	**წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის**

			მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად, აქვს სხვისი აზრის, მათ შორის, განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, არის ღია სიახლეების მიმართ. ასევე მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები არის ადვილად აღსაქმელი. თუმცა, კანდიდატი იყენებს რთულ წინადადებებს, რაც ართულებს აზრის აღქმადობას.
პროფესიული თვისებები	15	15	**პროფესიული თვისებების კუთხით** კანდიდატის - სალომე სამხარაძის შეფასებისას გასაუბრებიდან და მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის გათვალისწინებით ყურადღება იქნა გამახვილებული მის ისეთ თვისებებზე როგორიცაა: მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება, დამოუკიდებლობა, შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა და კომუნიკაბელურობა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სალომე სამხარაძეს აქვს მონაწილეობა მიღებული სასამართლო ადმინისტრირების და მენეჯენტის რეფორმის პროექტის მიერ ჩატარებულ სასამართლო მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევაში.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	**აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, ასევე საკუთარ თავზე მუშაობისა და თვითგანვითარების უნარი, თუმცა ბოლო პერიოდში იშვიათად მონაწილეობს პროფესიული

			წვრთნის პროექტებში.
პროფესიული აქტივობა	4	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** შეფასებისას უნდა აღნიშნოს, რომ სალომე სამხარაძეს აქვს მონაწილეობა მიღებული არაერთ ტრენინგში, სემინარსა და შეხვედრაში (ჩამონათვალი იხ. კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში.) ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სალომე სამხარაძე არის „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი წარდგენის ეფექტურობა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას" - სტატიის ავტორი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არ აქტიურობს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კუთხით.
ქულათა ჯამი	92	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21